2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით.

ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გაღინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გაღინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 24).

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები

ჯგუფის ამონაგები ძირითადად შედგება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია, ასევე ტექნიკური მომსახურება, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, მანქანების და მოწყობილობების რემონტი. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპული ყველა ამონაგების ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ჯგუფი ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს: პირს ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამჟამად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

- (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:
 - (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
 - (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს _ 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (viii)(ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ჯგუფი ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო აღმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოახდინა 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში, გარკვეული მუხლების რეკლასიფიკაცია. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რეკლასიფიკაციის ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
საგადასახადო აქტივები	58,664	257,244	315,908
სხვა აქტივები	257,244	(257,244)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,831,069)	109,571	(2,721,498)
ვალდებულება შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვიდან	-	(1,909,600)	(1,909,600)
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	(3,117,652)	(4,266)	(3,121,918)
საიჯარო ვალდებულებები	-	(1,246,641)	(1,246,641)
სხვა ვალდებულებები	(1,804,295)	1,804,295	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	(1,246,641)	1,246,641	-

31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
საგადასახადო აქტივები	731,338	(80,937)	650,401
სხვა აქტივები	84,996	(84,996)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(821,184)	378,000	(443,184)
ვალდებულება შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვიდან	-	(2,178,000)	(2,178,000)
საგადასახადო ვალდებულება	(165,933)	165,933	-
სხვა ვალდებულებები	(1,800,000)	1,800,000	-

შპს „სილქ როუდ ენჯინიარინგ“ და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი, 2022	2,503,793	697,346	4,186,601	175,581	115,760	62,768	651,980	8,393,829
შეძენა	23,309	1,118,058	22,485	20,254	85,694	315,436	482,911	2,068,147
გასვლა	-	(23,573)	-	-	-	-	(285,137)	(308,710)
31 დეკემბერი, 2023	2,527,102	1,791,831	4,209,086	195,835	201,454	378,204	849,754	10,153,266
შეძენა	-	3,341,059	-	3,898	25,914	43,609	317,300	3,731,780
გასვლა	-	-	(8,389)	(15,000)	(8,000)	-	(78,953)	(110,342)
31 დეკემბერი, 2024	2,527,102	5,132,890	4,200,697	184,733	219,368	421,813	1,088,101	13,774,704
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2022	-	-	(109,704)	(21,770)	(57,252)	(8,394)	(151,148)	(348,268)
წლის ცვეთა	-	-	(210,398)	(36,283)	(48,984)	(23,581)	(131,560)	(450,806)
გასვლა	-	-	-	-	-	-	20,095	20,095
31 დეკემბერი, 2023	-	-	(320,102)	(58,053)	(106,236)	(31,975)	(262,613)	(778,979)
წლის ცვეთა	-	-	(210,811)	(35,029)	(47,840)	(88,679)	(203,702)	(586,061)
გასვლა	-	-	664	2,419	4,634	-	48,487	56,204
31 დეკემბერი, 2024	-	-	(530,249)	(90,663)	(149,442)	(120,654)	(417,828)	(1,308,836)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2023	2,527,102	1,791,831	3,888,984	137,782	95,218	346,229	587,141	9,374,287
31 დეკემბერი, 2024	2,527,102	5,132,890	3,670,448	94,070	69,926	301,159	670,273	12,465,868

2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები, რომლებიც კვლავ გამოიყენება. ჯგუფის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით მესამე პირის სასარგებლოდ.

8. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
საქონელი	8,853,582	10,145,762
მასალა და ნედლეული	4,931,024	13,666
მზა პროდუქცია	205,307	294,824
დაუმთავრებელი წარმოება	1,351	281,120
ტექნიკის მარაგები	-	43,018
საწვავი	-	2,789
სულ მარაგები	13,991,264	10,781,179

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	2,276,373	2,797,163
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(549,433)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,726,940	2,797,163

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრისთვის	-	-
წლის დარიცხვა	(549,433)	-
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(549,433)	-

10. გადახდილი ავანსები

ჯგუფის გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,151,685 ლარს და 3,022,961 ლარს შესაბამისად.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	959,421	643,332
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	565,283	3,601,441
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	29	50
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,524,733	4,244,823

მპს „სილქ როუდ ენჯინიარინგ“ და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

12. მიღებული სესხები

ჯგუფის სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

დასახელება	ვალუტა	დაწყება	დასრულება	საპროცენტო განაკვეთი	ძირი 12/31/2024	პროცენტი 12/31/2024	სულ
BOG N 8118730	ლარი	3/14/2022	12/14/2028	რეფ. +3.00%, მინ. 13%	1,547,226	8,268	1,555,494
BOG N 8860357	ლარი	12/29/2022	2/11/2025	რეფ. +3.00%, მინ. 13%	1,021,106	1,455	1,022,561
BOG N 9867715	ევრო	11/30/2023	12/16/2025	8.20%	2,930,600	658	2,931,258
BOG N 10901655	ევრო	9/10/2024	12/26/2025	10.2%	334,940	-	334,940
BOG N 788948	ლარი	5/30/2022	12/12/2031	2%	1,290,050	-	1,290,050
BOG N 7886945	ლარი	5/30/2022	12/12/2031	2%	2,660,128	-	2,660,128
ჭედიშვილი ლევან	ლარი	8/27/2024	7/27/2025	15%	752,000	22,495	774,495
ჭედიშვილი ლევან	ლარი	10/20/2024	9/20/2025	15%	478,000	12,221	490,221
სულ მიღებული სესხები					11,014,050	45,097	11,059,147
გრძელვადიანი სესხები							5,683,751
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი							5,375,396
სულ მიღებული სესხები							11,059,147

დასახელება	ვალუტა	დაწყება	დასრულება	საპროცენტო განაკვეთი	ძირი 12/31/2023	პროცენტი 12/31/2023	სულ
BOG N 7327593	ლარი	6/22/2021	1/22/2024	14%	4,326	18	4,344
BOG N 8118730	ლარი	3/14/2022	12/14/2028	რეფ. +3.00%, მინ. 13%	2,511,303	15,205	2,526,508
BOG N 8860357	ლარი	12/29/2022	2/11/2025	რეფ. +3.00%, მინ. 13%	1,282,002	1,826	1,283,828
BOG N 9867715	ევრო	11/30/2023	12/16/2025	8.20%	2,254,900	1,013	2,255,913
BOG N 788948	ლარი	5/30/2022	12/12/2031	2%	1,338,048	-	1,338,048
BOG N 7886945	ლარი	5/30/2022	12/12/2031	2%	2,720,460	4,265	2,724,725
სულ მიღებული სესხები					10,111,039	22,327	10,133,366
გრძელვადიანი სესხები							7,011,448
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი							3,121,918
სულ მიღებული სესხები							10,133,366

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების ცვლილება 2024 და 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საწყისი ნაშთი	10,133,366	5,006,103
სესხის მიღება	2,937,358	9,143,700
ძირის დაფარვა	(2,017,836)	(4,024,676)
საპროცენტო ხარჯი	772,083	745,616
პროცენტის დაფარვა	(710,632)	(823,563)
საკურსო ზარალი / (მოგება)	(55,192)	86,186
სესხის ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,059,147	10,133,366

13. საგადასახადო აქტივები

ჯგუფის საგადასახადო აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 845,076 ლარს და 315,908 ლარს შესაბამისად.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,458,721 ლარს და 2,721,498 ლარს შესაბამისად.

15. მიღებული ავანსები

ჯგუფის მიღებული ავანსები ძირითადად შეადგენს მომხმარებლებისგან ტრაქტორების და მისაბმელი აგრეგატების შესაძენად მიღებულ ავანსებს, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 7,651,889 ლარს და 2,766,087 ლარს შესაბამისად.

16. ვალდებულება შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვიდან

ჯგუფის ვალდებულება შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვიდან 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,105,500 ლარს და 1,909,600 ლარს შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება წარმოიქმნა 2022 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც ჯგუფმა შეიძინა შპს აგრო ჰოლდინგის (შემდგომში „ფარმარეა“) 100% წილი 2,500,000 ლარად.

17. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,728,604 ლარს და 337,214 ლარს შესაბამისად. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფის მფლობელობამ ფულადი სახით მოახდინა 31,800 ლარის გატანა და 1,423,190 ლარის კაპიტალში შეტანა.

2024 და 2023 წლის განმავლობაში ჯგუფს არ გაუცია დივიდენდი.

18. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	21,067,432	26,640,620
შემოსავალი მომსახურებიდან	639,683	81,069
უკანდაბრუნება	(234,555)	-
სულ შემოსავალი	21,472,560	26,721,689

19. რეალიზაციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	4,263,468	11,526,127
ტრაქტორების თვითღირებულება	5,717,006	5,526,456
მისაბმელი აგრეგატების თვითღირებულება	3,797,031	798,419
კომბაინების და ჰედერების თვითღირებულება	3,377,949	2,724,590
საბურავების თვითღირებულება	7,598	-
საცხებ-საპოხი მასალების თვითღირებულება	4,402	243,423
ტექ. მომსახუ გაწევასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები	-	146,123
სხვა ზედნადები ხარჯი	35,648	12,426
უკანდაბრუნებული პროდუქციის თვითღირებულება	(27,804)	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	17,175,298	20,977,564

20. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები

ჯგუფის მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	108,511	128,824
რეკლამა-მარკეტინგის ხარჯი	38,164	104,766
პრომო და სარეკლამო მასალის ხარჯი	-	657
მიწოდების სხვა ხარჯი	4,727	-
სულ მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები	151,402	234,247

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,865,989	1,756,980
ცვეთა და ამორტიზაცია	588,108	452,847
მარაგების გაუფასურება	136,921	-
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	126,971	92,954
ქონების გადასახადის ხარჯი	95,720	52,631
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	76,684	64,252
მივლინების ხარჯები	59,685	28,045
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	35,717	17,244
იჯარის ხარჯი	27,159	150,278
სამეურნეო ხარჯი	14,345	13,190
წარმომადგენლობითი ხარჯი	13,462	80,257
თანამშრომლის სარგებელი-დაზღვევა	12,507	8,743
საკანცელარიო	-	270
საკონსულტაციო	-	4,068
პროგრამული უზრუნველყოფა	-	5,365
ბანკის საკომისიო	-	4,838
სხვა საგადასახადო ხარჯი	9,488	82,695
სხვა საერთო ხარჯები	55,134	257,754
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,117,890	3,072,411

22. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

ჯგუფის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	855,193	554,571
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(933,272)	(665,523)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(78,079)	(110,952)

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ჯგუფს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები.

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის და მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	603,736	600,126

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სილქ როუდ ენჯინიარინგ“ (შემდგომში - საზოგადოება) დაარსდა 2020 წლის 16 იანვარს. მარეგისტრირებული ორგანოს - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 405373509. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქუჩა #61, ბინა #18.

საზოგადოებაში წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თემურ ცუცქირიძე პ/ნ 35001083491 – 50%;

პაატა შეყილაძე პ/ნ 01020010128 – 50%.

კომპანიას ჰყავს შემდეგი შვილობილი საწარმოები (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“:

შპს ფარმარეა ს/ნ 405518900 – 100%;

შპს ფართსარეა ს/ნ 405504789 – 100%;

შპს ფარმარეა სერვის ჯგუფი ს/ნ 405504734 - 100%;

შპს ფარმარეა ინდასტრის ს/ნ 405610904- 100%;

შპს ფარმარეა კონსალტინგ ს/ნ 405536638 – 100%;

შპს ჰარვესტინგ ექსპერტ ს/ნ 406455447 – 100%.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებენ დირექტორები - თემურ ცუცქირიძე და პაატა შეყილაძე.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს სილქ როუდ ენჯინიარინგის და მისი შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - აგროტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, იმპორტი, ვაჭრობა და ტექნიკური მომსახურება.

ჯგუფის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, დიდი ლილო, გიორგი ჩიკვაიძის ჩიხი #2. ამის გარდა საქმიანობა კიდევ ხორციელდება სხვა ფილიალებშიც: ახალციხის რაიონი, სოფ. კლდე; გურჯაანის რაიონში, სოფ. ჩალაუბანი; ქ. მარნეული.

ჯგუფი სარეალიზაციო პროდუქციას და მომსახურებას ყიდის, როგორც საცალო ისე საბითუმო მომხმარებლებზე, ძირითადი კლიენტები და მომხმარებლები არიან, როგორც იურიდიული პირები ასევე ფიზიკური პირები.

ჯგუფის პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და საიმედოებით. ჯგუფი ერთგულად ემსახურება მის კლიენტებს, სთავაზობს მაღალი ხარისხის მომსახურებას და ინოვაციურ პროდუქტებს. კომპანიის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ ფერმერებს თავიანთ საქმიანობაში, რათა დაამუშავონ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა და შექმნან დოვლათი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და კეთილდღეობას.

მომხმარებელთა კომფორტისთვის ჯგუფში გვაქვს წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გარკვეული სპექტრი, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ, დაზოგონ დრო, ენერგია და მიიღონ მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში საუკეთესო შედეგს განაპირობებს. ჯგუფი დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება, ეძებს საუკეთესო გზებს მომხმარებლების მოსაზიდად და მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დასაქმებულები და მათი მართვის პოლიტიკა

ჯგუფი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. თანამშრომლების შერჩევისას ყურადღება ექცევა, როგორც კონკრეტული სამუშაოს შემსრულებლისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს, ასევე ჯგუფის ღირებულებებს, რომელსაც უნდა იზიარებდეს ჯგუფის ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- მომხმარებლებთან ურთიერთობის უნარი
- დავალებების სწრაფი და დროული შესრულება
- გუნდურობა.

ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. ჯგუფში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ პროფესიულად.

ჯგუფის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისთვის, ჯანსაღი სამართლიანი და სასიამოვნო გარემოს შექმნაზე, რაც ამაღლებს თანამშრომელთა მოტივაციას.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ჯგუფი ასევე გეგმავს მარკეტინგის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა მომხმარებლების სტიმულირება, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა.შ. ჩვენი საზრუნავი იქნება არსებული მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდა, მათთან ხანგრძლივი თანამშრომლობა და ახალი მომხმარებლების მოზიდვა.

ჯგუფში აქტუალურია საკითხი რომელიც ეხება პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს ჯგუფის გაფართოებას და შესაბამისად შემოსავლების ზრდას.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის საქმიანობის მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია შემდეგნაირად:

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	12,465,868	9,374,287	8,045,561
არამატერიალური აქტივები		6,744	8,791	10,832
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,472,612	9,383,078	8,056,393
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	13,991,264	10,781,179	8,384,317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,726,940	2,797,163	1,229,156
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე		64,695	-	38,644
გადახდილი ავანსები	10	3,151,685	3,022,961	2,436,168
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,524,733	4,244,823	1,875,063
საგადასახადო აქტივები	13	845,076	315,908	650,401
სულ მიმდინარე აქტივები		21,304,393	21,162,034	14,613,749
სულ აქტივები		33,777,005	30,545,112	22,670,142
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	5,683,751	7,011,448	4,353,810
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,683,751	7,011,448	4,353,810
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,458,721	2,721,498	443,184
მიღებული ავანსები	15	7,651,889	2,766,087	5,097,277
ვალდებულება შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვიდან	16	1,105,500	1,909,600	2,178,000
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	12	5,375,396	3,121,918	652,293
საიჯარო ვალდებულებები		-	1,246,641	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,591,506	11,765,744	8,370,754
სულ ვალდებულებები		21,275,257	18,777,192	12,724,564
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	1,728,604	337,214	22,870
გაუნაწილებელი მოგება		10,773,144	11,430,706	9,922,708
სულ კაპიტალი		12,501,748	11,767,920	9,945,578
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,777,005	30,545,112	22,670,142

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	18	21,472,560	26,721,689
რეალიზაციის თვითღირებულება	19	(17,175,298)	(20,977,564)
საერთო მოგება		4,297,262	5,744,125
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	20	(151,402)	(234,247)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	(3,117,890)	(3,072,411)
საექვო მოთხოვნების გაუფასურება	9	(549,433)	-
საოპერაციო მოგება		478,537	2,437,467
არასაოპერაციო ხარჯი		(303,505)	(35,870)
არასაოპერაციო შემოსავალი		110,635	171,128
ფინანსური ხარჯი	12	(858,502)	(951,683)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	22	(78,079)	(110,952)
მოგება დაბეგრვამდე / (ზარალი)		(650,914)	1,510,090
მოგების გადასახადის ხარჯი		(6,648)	(2,092)
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(657,562)	1,507,998
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(657,562)	1,507,998

რისკების მართვა

რისკების მართვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯგუფის ფუნქციონირებასა და განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკის გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ძირითად რისკებს წარმოადგენს სავალუტო რისკები, კერძოდ კურსის ზრდისა და შემცირების ფაქტორები, თომცა ჯგუფს გააჩნია შიდა პოლიტიკა მსგავსი შემთხვევების უფაქტური მართვისთვის.

სავაჭრო რისკი

სავაჭრო რისკს წარმოადგენს კონკურენცია. თუმცა ასეთი რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოეწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას. რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ რისკების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ჯგუფის შეუფერხებელ დაფინანსებას და უწყვეტ ფუნქციონირებას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზეც. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდისუნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი

----- თ. ცუცქირიძე

----- პ. შეყელაძე

30 სექტემბერი 2025 წ

თბილისი, საქართველო

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზეც. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდისუნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი

30 სექტემბერი 2025 წ

თბილისი, საქართველო

თ. ცაგერიძე
მ. შეყელაძე